# რამდენიმე დღე უზბეკისტანში

სოციალიზმის ხანამ და საბჭოთა სისტემამ შესაძლებელი გახადეს ისეთი, ერთი შეხედვით დაუჯერებელი, მოვლენა, როგორიცაა 10—15 წ. წინად ნატურალური მეურნეობის ქვეყანაში სამეცნიერო სესიების მოწყობა და სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრების საიუბილეო ზეიმი. ამის დამადასტურებელ ფაქტს, სხვათა შორის, დღევანდელი უზბეკისტანი წარმოადგენს. ვინ არ იცის, რა იყო საუკუნეთა განმავლობაში, განსაკუთრებით რუსეთის იმპერიის ექსპანსიის დროს, ეს ქვეყანა? მიმდინარე წლის 25—30 მაისს აქ მოწვეული იყო უზბეკისტანის მეცნიერთა პირველი ყრილობა და დიდი ზეიმით გადახდილ იქნა უზბეკისტანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათი წლის იუბილე.

ამ ყრილობასა და ზეიმს გამოეხმაურა ჩვენი რესპუბლიკაც, რომელმაც უზბეკისტანში გაგზავნა სამი კაცისაგან შემდგარი დელეგაცია· თბილისიდან გავედით 19 მაისს. აჰა ბაქო ნავთის მფრქვევი კოშკებით! გადავლახეთ "ზღვა გურგანისა" (კასპიისა) და გაუდექით „უცნაურსა და ყოვლადვე ქართველთა ნათესავისაგან უვალსა გზასა", როგორც იტყოდენ ხოლმე ძველი ქართველები. მიქრის მატარებელი თურქმენიის თვალუწვდენსა და სილით დაფარულ ველებში. აგერ ლიანდაგის გასწვრივ პატარა ბორცვზე ნიში, რომელიც გვაუწყებს, რომ აქ დაიღვარა ამ უდაბნოებში სისხლი ბაქოს 26 კომუნარისა. ვცილდებით აშხაბადს და უახლოვდებით ძველი მერვის რუინებს, იმ მერვის ან მარავის, რომელიც უკვდავყო დიდებულმა ჯორჯანელმა ვისისა და რამინის მომხიბლავს რომანში. „ჰამოო მარავო, ზამთრისა და ზაფხულის ყუავილ-დაულევნელო! ჰამოო მარავო, ქალაქთა ყოველთა უთავადესო, გამცდელთაგან სანატრელო, მზისა სამეფო და მთვარისა სადგომო"! (ვისრამიანი). სადაა ის შენი მშვენება, რომელიც რამინს ათქმევინებდა: „შენთა მნახველთაგან უშენოდ სიცოცხლე არ ეხმარების?" ეს მშვენება ჩაიმარხა უდაბნოს სილაში მას შემდეგ, რაც ამუდარიამ თავისი ძველი კალაპოტი იცვალა, მაგრამ მალე, სულ მალე დაგიბრუნებს შენ იმას სოციალისტური მშენებლობა, რომელიც ამუდარიის წყლებს ახალს მიმართულებას მისცემს. სალამი მრავალწყლიანო ამუდარია! ვინ იცის, „რას დუდუნებ, ვისთვის რას იტყვი"? ძველი აზიის საიდუმლოება შენს ტალღებშია განბანილი.

გადავდივართ უზბეკისტანში, ვუახლოვდებით ბუხარას, თემურ-ლენგის ბუხარას, ოდესღაც მისგან „გამდიდრებულს, გამშვენიერებულს და განლაღებულს"; „წარხდენ დღენი მისნი", ახალი დიდება და მშვენება მას ჩვენს ხანაში მოელის! როგორც იქნა, მივაღწიეთ ძველი აზიის „ათინას", სამარყანდს, რომელმაც სტუმართმოყვარულად გაგვიღო თავისი კარები. აქ სადგურზე გამოირკვა რომ საქართველოს დელეგაციის ჩამოსვლას ყოველ მატარებელზე კითხულობდენ; გულთბილი შეხვედრა, წაგვიყვანეს დასასვენებლად მაგრამ ვის სცალია მოსვენებისათვის? ჩვენ იმ წამსვე ქალაქის დათვალიერებას შეუდექით. სამარყანდი არ არის მაინცადამაინც დიდი ქალაქი, ჩვენი ქუთაისის ოდენა თუ იქნება. რა კონტრასტი იშლება თქვენს თვალწინ! აგერ ძველი აღმოსავლური, ნამდვილი აზიური სამარყანდი, თემურ-ლენგის არქიტექტურული ძეგლებით, რომელთაც განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი სილამაზით, სიმდიდრით და ხუროთმოძღვრული სტილით; ეს ძეგლები უნდა დანგრეულიყო, გამქრალიყო, მაგრამ საბჭოთა სინამდვილე თავისი მზრუნველობით უნარჩუნებს მათ არსებობას. აქ, ძველს სამარყანდში, თქვენ შეიცნობთ, განსაკუთრებით ბაზრობის დღეს, აღმოსავლეთის აზიის ნამდვილ ცხოვრებას, რომელიც გარდაქმნის გზაზეა. ცოტა მოშორებით ძველისაგან გაშენებულია ახალი სამარყანდი საკმაოდ მოზრდილ სივრცეზე, რომელიც ადამიანს წაუგლეჯია უდაბნოსათვის და ოაზისად უქცევია. ახალი სამარყანდი ევროპული ქალაქია, რომლის ზრდა, გამშვენება და აღმავლობა გასაბჭოების შემდეგს ხანას ეკუთვნის. აქაა მოთავსებული სამარყანდის ადმინისტრაციულ-კულტურული დაწესებულებანი და ცენტრები, კერძოდ — დღევანდელი იუბილიარი, უზბეკისტანის უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტი სულ ათი წლისაა, მაგრამ, შედარებით თავის ასაკთან, კარგადაა მოწყობილი ლაბორატორიებით, კაბინეტებით, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებით. მის ექვს ფაკულტეტზე 1200-მდე სტუდენტი სწავლობს, აქედან 50%-მდე უზბეკია. მეცადინეობა ჯერ კიდევ ნაწილობრივ რუსულ ენაზეა, მხოლოდ ადგილობრივი ლიტერატურა და ისტორია მეტყველებს უზბეკურ ენაზე ასპირანტებისა და ახლადდამწყები მეცნიერების პირით. მალე სხვა დისციპლინებსაც ავალაპარაკებთ, გვეუბნებიან ჩვენ, ყველასათვის ნათელია, რომ ნაციონალურ-კულტურული მშენებლობა გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ და უზბეკისტანი, ეს ოდესღაც ჩამორჩენილი, დაბეჩავებული და დაჩაგრული ქვეყანა, ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკად ქცეულა შუა აზიაში.

იზრდება ადგილობრივი პრესა, ეროვნული ლიტერატურა. უზბეკისტანის მწერალთა კავშირში მხცოვანი, ორდენოსანი პოეტი **სარ. აინი** მაძლევს თავის შესანიშნავ რომანს „დოხუნდა" და მეუბნება: „ვერ გაგაკვირვებთ, მაგრამ იცოდეთ, ჩვენც რაღაცას ვწერთო". ამაზე მე ვუპასუხე: თუ საქართველომ ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში შესძლო გასცნობოდა თქვენი უდიდესი პოეტის **ნევაის** წარმოებს და ნაწილობრივ ეთარგმნა კიდევაც ის, დარწმუნებული ვარ, ეხლა უფრო ადვილი იქნება ერთმანეთის ლიტერატურა გავიცნოთ, ამისი საწინდარია ის ფაქტი, რომ დღეს მოსკოვში, ჩვენი პოეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის საღამოზე, თქვენები მხურვალე სიტყვებით გამოდიან და ორივე ქვეყნის პოეტები გულწრფელად ძმობილდებიან.

დიდი წარმატებით ჩატარდა სამეცნიერო სესია, რომელზედაც წარმოდგე[illegible] კავშირის ყველა რესპუბლიკა; სულ 2 0-მდე მეცნიერი გამოცხადდა, აქედან 190 კა[...] მოხსენება მეცნიერების სხვადა[...] გიდან. მუშაობა სექციებში [...] კერძოდ მე ლიტერატურულ[...] გავაკეთე მოხსენება ჩვენი ს[...] ხისტყაოსნის" შესახებ. [...] სია აქ ამ ნაწარმოებისადმი, სამწუხაროდ ამ ინტერესს ვერ აკმაყოფილებს **ბალმონტის** თარგმანი, არის სამზადისი მისი უზბეკურად თარგმნისა; ეს ინტერესი უფრო გაიზარდა, როდესაც მე შევეცადე გამეთვალისწინებინა მათთვის აღმოსავლური ელემენტები პოემისა, რამაც ისინი დაარწმუნა, რომ ძველი ქართული პოეზია ლიტერატურულად ერთნაირად ასაზრდოებდა როგორც უზბეკურს, ისე ქართულ ლიტერატურას.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ის გულთბილობა და პირდაპირ არაჩვეულებრივი ყურადღება, რომლითაც სარგებლობდა საქართველოს დელეგაცია მთელი კვირის განმავლობაში როგორც სამეცნიერო, ისე საიუბილეო ზეიმზე და ყოველდღიურ ურთიერთობაში მასპინძლებთან თუ სტუმრებთან. საზეიმო ბანკეტებზე, რომელიც გაიმართა უნივერსიტეტში, სამარყანდის მეცნიერ მუშაკთა სახლში და ქალაქის საბჭოს მიერ მოსულ სტუმართა პატივსაცემად, პირველი ტოსტი წარმოითქმოდა ხოლმე „ძლიერი, აყვავებული და კულტურული საქართველოს" მისამართით, იმ საქართველოს, რომელმაც „წარმოშვა კაცობრიობის უდიდესი გენიოსი, ჩვენი სულის ჩამდგმელი **სტალინი**".

ამ მოგზაურობის დროს ჩვენ საკუთარი თვალით დავინახეთ, რომ საუკუნეების განმავლობაში უდაბნოდ ქცეული შუა აზია, დღეს, დიდი **სტალინის** ეპოქაში, ნამდვილ ოაზისად ხდება, შუა აზიის სხვადასხვა ერები, რომელნიც ჩინგისხანების და თემურ-ლენგების წინამძღოლობით „ღვთის რისხვად" ევლინებოდენ კაცობრიობას, კერძოდ საქართველოს, დღეს, უბადლო სტალინის წინამძღოლობით, მტკიცედ შემდგარან უაღრესად განვითარებული კულტურული მშენებლობის გზაზე და მედგრად მიიწევენ წინ კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ.

**პროფ. ძ. კეკელიძე.**